# შპს „გარანტი-აუდიტი“ ს/კ 419617249

ლიცენზირებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიწრ, სერთიფიკატი 5/487, ლიცენზია 094 . ქ. ტყიბული, ქუთაისის ქ. 3 , ტელეფონი: გ.გოგილიძე 599 283 779 , ზ.ზარსონიძე 599 10 57 49


---

\# 28

09-დეკემბერი 2016 წ.

## აუდიტორული დასკვნა

## უძრავი ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებით დემონტაჟის საბაზრო ღირებულების დადგენისა და მოსალოდნელი მეორადი მასალების საბაზრო ღირებულების განსაზღვრისა შესახებ

შპს „ გარანტი-აუდიტი“-ს აუდიტორმა გივი გოგილიძემ (რომელიც ფლობს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემულ საკვალიფიკაციო სერთიფიკატს ზ-5/487 ,ლიცენზია 094) და ორგანიზაციის წამყვანმა სპეციალისტმა ბექან ზარსონიძემ, ნიკორწმინდის საჯარო სკოლის დირექტორის 2016 წლის 28-ოქტომბრის მომართვის საფუძველზე მოვახდინეთ სსიპ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებით დემონტაჟის სამუშაოების საბაზრო ღირებულების დადგენისა და მოსალოდნელი მეორადი მასალების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა.

**დემონტაჟი # 1 დანართის შესაბამისად**

ჩამოწერილი ქონების: ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ყიფილი საქვაბისა და სანკვანძის შენობის დაშლის (დემონტაჟის) სამუშაოებისათვის გასაწევი ხარჯის ღირებულება დადგინდა ექსპერტული წესით, ვიზუალური დათვალიერებით, მოცემული დასკვნის დანართის შესაბამისად და განისაზღვრა 2752(ორიათასშვიდასორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

**მოსალოდნელი მეორადი მასალები**

ჩამოსაწერი ქონების დაშლის შედეგად მოსალოდნელი მეორადი მასალების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა, შეფასება მოხდა ექსპერტული წესით ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე;

1.ყოფილი საქვაბის საკვამლე მილის წონა (ზომებში სიმაღლე 20 მ, დიამეტრი 0,5 მ კედლის სისქე 1 სმ) განისაზღვრა წონა 2450კგ. ხოლო ღირებულება 490 ლარის ოდენობით.

2.საქვაბის 35 ცალი სექციის წონა განისაზღვრა (35*60) 2100კგ. ხოლო ღირებულება 420 ლარის ოდენობით.

3. ყოფილი სანკვანძის შენობის (ზომებში 6,5*6,5მ), ჩამოწერის შედეგად დარჩენილი 24,5 კუბ.მ. აგურის ვარგისი ნაწილი შეფასდა 300 ლარად.

სულ მეორადი მასალების ღირებულება განისაზღვრა 1210 (ერთიათასორასათი) ლარის ოდენობით.

შპს „გარანტი-აუდიტი“-ს დირექტორი გ. გოგილიძე

წამყვანი სპეციალისტი (ექსპერტი) ბ.ზარსონიძე